საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

№ 014 „6" 10 2015 წ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობისთბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზედოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის დოკუმენტების წარმოდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

N 14

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29–ემუხლის მე–3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 29 ივლისის N126/01-01 ბრძანების, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცებული ,,ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის" მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადეს კონკურსი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად.
2. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2015 წლის 7 ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით, 09:30 -დან 18:00 საათამდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, თსუ-სფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №11(თსუ-ს IIIკორპუსი), I სართული, ოთახი №115.
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

   ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ
   ბ) ავტობიოგრაფია (CV);
   გ) სამეცნიერო პუბლიკაციების სია
   დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა;
   ე) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
   ვ) ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით.

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა.
5. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოქვეყნება დაევალოს კანცელარიას.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 მე-3 კორპუსი 0179 თბილისი, საქართველო
11, Ilia Tchavtchavadze Ave., building 3, 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 44 69 Tel.
ელ.ფოსტა: psy-edu@tsu.ge; E-mail

6. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

თამარ გაგოშიძე